ც ნ ო ბ ა

დამკვეთი: შ.პ.ს. „საშხაპე” (გიორგი დემეტრაშვილი)

საფუძველი: 12/13276154-16 03.10.2013წ.

მისამართი: გელოვანის გამზირი №1

საკ.კოდი: 01.10.18.001.003

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – AR157848 21.06.2012წ. №227130

ფუნქციური დანიშნულება: ავტოსამრეცხაო III კლასი

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (27.03.2014) დადგინდა:

„1-18” ფასადზე 13-18 მონაკვეთში დამატებით მოწყობილია სავენტილაციო ცხაურები.

„18-1” ფასადზე 17-16 მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟის ნახატი, მის თავზე მოწყობილია სარეკლამო აბრა. 18-15 მონაკვეთში მოწყობილია წყალშემკრები მილები. 15-12 მონაკვეთში კარის ღიობებს მონაცვლებული აქვთ ადგილები და შემცირებულია ორი მათგანის სიგანე. 15-14 და 13-12 მონაკვეთებში დამატებულია სავენტილაციო ღიობები. 12-10 მონაკვეთში ორ სამრეცხაო ბოქსში დამატებულია ვერტიკალურად მოძრავი კარები. 2-1 მონაკვეთში დამატებულია წყალშემკრები მილები.

„3-14^1” ფასადზე 12-14^1 მონაკვეთში გაზრდილია პარაპეტის სიმაღლე. 12-13 მონაკვეთში შემცირებულია ღიობის გაბარიტი. 13-14^1 მონაკვეთში შეცვლილია ფანჯრების ნახატები. 12-14 მონაკვეთში სახურავზე განთავსებულია კონდენციონერები. 13-14^1 მონაკვეთში დამატებულია წყალშემკრები მილები.

განშლა-3: ე-ი მონაკვეთში ღიობების თავზე მოწყობილია სარეკლამო აბრები. ე-ზ მონაკვეთში შეცვლილია ფანჯრის ნახატი. ზ-ი მონაკვეთში გაზრდილია ღიობების გაბარიტები.

„14^1-3” ფასადზე 14^1-14 მონაკვეთში შეცვლილია ფანჯრის ნახატი. 14^1-13 მონაკვეთში საპროექტო ფანჯრები არ შეესაბამება არსებულს. 14-13 მონაკვეთში მოწყობილიაკონდენციონერი და სავენტილაციო ცხაურები. 12-10 მონაკვეთში ცოკოლზე დამატებულია საკომუნიკაციო მილები.

განშლა-6: ი-ზ მონაკვეთში გაზრდილია ღიობების გაბარიტები.

განშლა-8: გ-ბ მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟის ნახატი და დამატებულია სავენტილაციო ცხაური.

შენობების ცოკოლებზე მოწყობილია ბაზალტის ფილები.

ი-ზ და 9-13 მონაკვეთებს შორის შემცირებულია ლითონის სვეტების რაოდენობა. აღნიშნულ მონაკვეთში შეცვლილია გადახურვის კონფიგურაცია.

18-18 ღერძის გარეთ გ-ბ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ხის ბაქანი.

ი-ი ღერძის ღობის ნაწილი სცდება წითელ ხაზს.

ბ. პაკელიანი

გ. ბაღაშვილი